Kia App

შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ

ბოლო განახლება: 2026 წლის ივნისი

1. შესავალი
2. მაკონტროლებელი
3. მონაცემთა დაცვის ოფიცერი
4. პერსონალური მონაცემების შეგროვება
5. პერსონალური მონაცემების ტიპები, რომლებსაც ვამუშავებთ
6. დამუშავების მიზნები და დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები
7. ქუქი-ფაილები და სხვა ტექნოლოგიები
8. მიმღებები ან მიმღებთა კატეგორიები
9. პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემა
10. მონაცემების შენახვა
11. თქვენი კანონიერი უფლებები
12. KIA APP-ის გამოყენების პირობები
13. განახლებები
14. განმარტებები
15. ცვლილებები ადგილობრივ კანონში

1. შესავალი

კონფიდენციალურობის შესახებ ეს შეტყობინება („**kia app-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება**“) შემუშავებულია kia connect gmbh-ის მიერ („**kiaconnect**“, „**ჩვენ**“, „**ჩვენს**“, და „**ჩვენი**“) და იმ პირებს ეხება, რომლებიც kia app-ს იყენებენ (ერთობლივად, „**თქვენ**“). როდესაც იყენებთ kia app-ს, მის სხვადასხვა ფუნქციებს და მახასიათებლებს („**kia app-ის სერვისები**“), თქვენთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს ისე დავამუშავებთ, როგორც ეს kia app-ის კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაშია აღწერილი. ამ შეტყობინებაში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია ქვემოთ, 14 პუნქტში.

– გაითვალისწინეთ, რომ kia app-ის კონფიდენციალურობის შეტყობინების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება გაცნობოთ თქვენი პერსონალური მონაცემების ცალკე დამუშავების შესახებ, მაგალითად, თანხმობის ფორმებში ან ცალკეულ კონფიდენციალურობის შეტყობინებებში.

  თუ იყენებთ ავტოპარკის მართვის ფუნქციონალს („kia app b2b რეჟიმი“), გთხოვთ გაეცნოთ kia app-ის (b2b) კონფიდენციალურობის შეტყობინებას ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად „kia app b2b რეჟიმთან“ დაკავშირებით.

kia app-ის სერვისები მოიცავს სხვა მრავალ მახასიათებელს და ფუნქციას, რომლებიც თქვენს ავტომობილში კავშირის აქტივაციას საჭიროებს („**დაკავშირებული სერვისები**“). დაკავშირებულ სერვისებთან მიმართებაში ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების დეტალები კონფიდენციალურობის შესახებ ცალკე შეტყობინებაშია მოცემული („**kia connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება**“), რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: https://connect.kia.com/uk/kia-connect-privacy-notice/

2. მაკონტროლებელი

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, kia connect gmbh არის დამუშავებული პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი, როგორც ეს ჩამოყალიბებულია kia app-ის კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებაში.

kia app-ის კონფიდენციალურობის შეტყობინების ან ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შეკითხვების შემთხვევაში, ან თუ გსურთ თქვენი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ მისამართზე:

– kia connect gmbh, theodor-heuss-allee 11, 60486 frankfurt am main, germany, ელ-ფოსტა: info@kia-connect.eu

ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვენი საკონტაქტო ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია kia app-ის „ჩემი გვერდის“ მენიუში, ან ბმულზე: https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form/

გარდა ამისა, შეგიძლიათ, ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ქვემოთ, 3 პუნქტში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე დაუკავშირდეთ.

3. მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ჩვენ მონაცემთა დაცვის გარე ოფიცერი დავნიშნეთ. შეგიძლიათ, ჩვენს ოფიცერს შემდეგ მისამართზე დაუკავშირდეთ:

– kia connect gmbh-s, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, theodor-heuss-allee 11, 60486 frankfurt am main, germany, ელფოსტა: dpo@kia-connect.eu.

4. პერსონალური მონაცემების შეგროვება

თქვენ შესახებ პერსონალურ მონაცემებს შემდეგი წყაროებიდან ვაგროვებთ ან მოვიპოვებთ:

– **ჩვენთვის მოწოდებული მონაცემები**: ჩვენ ვიღებთ თქვენ მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს (მაგ.: როდესაც რეგისტრირდებით kia app-ში ან გვიკავშირდებით ელ-ფოსტით, ტელეფონით, ჩვენი საკონტაქტო ფორმის ან სხვა საშუალების გამოყენებით).
– **ურთიერთობის მონაცემები**: პერსონალურ მონაცემებს თქვენთან ურთიერთობისას ვაგროვებთ ან ვიღებთ.
– **აპის მონაცემები**: ჩვენ ვაგროვებთ ან ვიღებთ პერსონალურ მონაცემებს, როდესაც იყენებთ kia app-ს.
– **მესამე მხარის ინფორმაცია**: ჩვენ ვაგროვებთ ან ვიღებთ მესამე მხარეებისგან მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს (მაგალითად, დილერების ან სახელოსნოსგან სერვისის ონლაინ ჯავშნებთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 6.5.3), digital charging solutions gmbh-ისგან (kia charge აპის ოპერატორი და პროვაიდერი) დამუხტვის ისტორიის სერვისთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 6.5.7, kia corporation-ისგან საგარანტიო ბუკლეტთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 6.5.8), და kia-ს ეროვნული გაყიდვების კომპანიისგან ან თქვენს ქვეყანაში kia-ს ავტომობილების დისტრიბუტორისგან ავტომობილის სავალდებულო შემოწმების შესახებ შეხსენებებთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 6.5.10)).
– **kia connectაპი**: თუ თქვენ ხართ kia connect აპის მომხმარებელი და დარეგისტრირდებით kia app-ში, ინფორმაცია თქვენი მომხმარებლის პროფილის შესახებ, ავტომობილის მონაცემები და გარკვეული პარამეტრები kia connect აპიდან kia app-ს გადაეცემა, რათა უზრუნველყოს შეუფერხებელი გადასვლა აპების სხვადასხვა ვერსიებს შორის.

5. პერსონალური მონაცემების ტიპები, რომლებსაც ვამუშავებთ

ჩვენ შემდეგი ტიპის პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ, რომლებიც თქვენთან არის დაკავშირებული („**შესაბამისი პერსონალური მონაცემები**“):

- **პირადი მონაცემები:** მონაცემები, რომლებიც უშუალოდ თქვენ გეხებათ, როგორც პიროვნებას (მაგ.: სახელ(ებ)ი, ქვეყანა).
- **საკონტაქტო მონაცემები**: მონაცემები, რომლებიც კომუნიკაციის ან გადამოწმების საშუალებას იძლევა (მაგ.: ელფოსტის მისამართი, მობილურის ნომერი (საჭიროა მხოლოდ დაკავშირებულ სერვისებთან)).
- **kia-ს ანგარიშის მონაცემები**: მონაცემები, რომლებიც თქვენს kia-ს ანგარიშს უკავშირდება (მაგ.: მომხმარებლის სახელი; პაროლი, ელფოსტის მისამართი; სახელი; გვარი; ქვეყანა; მომხმარებლის უნიკალური იდენტიფიკატორი („**uuid**“)).
- **მომხმარებლის პროფილის შესახებ ინფორმაცია**: მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს kia app მომხმარებლის პროფილთან, მათ შორის, kia-ს ანგარიშის მონაცემები (მაგ.: ინფორმაცია სისტემის კონფიგურაციის შესახებ, შერჩეული პარამეტრები (მაგ.: ენა), პროფილის ფოტო და პროფილის სახელი (არჩევითი)).
- **ხელშეკრულების მონაცემები**: მონაცემები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების დადებას და შეწყვეტას, მათ შორის, kia app-ის გამოყენების პირობებზე თანხმობას და შეწყვეტას, ასევე თანხმობისა და შეწყვეტის თარიღი და დრო (მაგ.: ხელშეკრულების შინაარსი, ტიპი და ხელშეკრულების დადების თარიღი და ხანგრძლივობა).
- **თანხმობის ჩანაწერები**: ჩანაწერი თქვენ მიერ მიცემული ნებისმიერი თანხმობის შესახებ, მათ შორის, თარიღი და დრო, თანხმობის საშუალება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მაგ.: თანხმობის საგანი).
- **საკომუნიკაციო მონაცემები**: მონაცემები, რომლებიც კომუნიკაციის შინაარსს წარმოადგენს (მაგ.: საუბრების შინაარსი, წერილობითი კორესპონდენცია).
- **ავტომობილის მონაცემები**: თქვენს ავტომობილთან დაკავშირებული მონაცემები (მაგ.: ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი („vin“); ინფორმაცია ავტომობილის მოდელის შესახებ; რეგისტრაციის თარიღი; რეგისტრაციის ნომერი (ნებაყოფლობითი); საგარანტიო ვადის დაწყების და დასრულების თარიღები; გარბენი; სავარაუდო წლიური გარბენი; სერვისის მიწოდების თარიღები; ტექნიკური შემოწმების (mot) თარიღები.
- **მონაცემები მდებარეობის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც თქვენი მოწყობილობის მდებარეობასთან არის დაკავშირებული (მაგ.: gps მონაცემები) ან ადგილმდებარეობის მონაცემები, რომელსაც გვაწვდით kia app-ის სერვისებთან დაკავშირებით.
- **ინფორმაცია დილერის და სახელოსნოს შესახებ:** მონაცემები, რომლებიც თქვენ მიერ შერჩეულ kia-ს დილერებს და სახელოსნოებს უკავშირდება (მაგ.: დილერის/სახელოსნოს დასახელება, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები და სამუშაო საათები).
- **სერვისის ონლაინ დაჯავშნის მონაცემები**: ინფორმაცია, რომელსაც სერვისის ონლაინ დაჯავშნის მოთხოვნასთან დაკავშირებით აწვდით (როგორც ქვემოთ არის განმარტებული) (მაგ.: ავტომობილის სერვის-ცენტრში მიყვანის დრო / სასურველი დროის მონაკვეთი; არჩეული სერვისები; დამატებითი შეკეთება/რემონტი; შეთავაზებების და სარეკლამო აქციების არჩევა; ტრანსპორტირების ვარიანტები; ინფორმაცია "საბურავების კონსიერჟის" მომსახურებასთან დაკავშირებით).
- **დამუხტვის ისტორიის მონაცემები**: ინფორმაცია თქვენი ავტომობილის დამუხტვის ისტორიის შესახებ (მაგ.: ინფორმაცია დასამუხტი სადგურების შესახებ, დამუხტვის დრო და ხარჯები).
- **ავტომობილის მდგომარეობის შემოწმების მონაცემები**: ინფორმაცია შესაბამისი ავტომობილის მდგომარეობის შესახებ (მაგ.: მუხრუჭების, ფილტრების, განათების, საქარე მინის საწმენდების მდგომარეობა), რომელიც kia-ს დილერთან ან სახელოსნოში, ბოლო სერვისის დროს, ავტომობილის მდგომარეობის შემოწმებისას მიიღება.
- **ინფორმაცია სერვისზე თვალყურის მიდევნების შესახებ:** ინფორმაცია თქვენი ავტომობილის მომსახურების სტატუსის შესახებ, როგორიცაა, გაეწია სერვისი, სახელოსნოშია, მზად არის გასაყვანად, დასრულებული.
- **ავტომობილის სერვისის ისტორია**: სერვისის მიწოდების თარიღი; სერვისის აღწერა (ავტომობილზე გაწეული სერვისები); გარბენი სერვისის მიწოდების დროისათვის; ინფორმაცია დილერის შესახებ (დილერის სახელწოდება, დილერის საკონტაქტო მონაცემები).
- **ტექნიკური მონაცემები**: ტექნიკური ინფორმაცია თქვენი მოწყობილობის ან ამ მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც გამოიყენება kia app-ზე წვდომისა და მასთან დასაკავშირებლად (მაგ.: აპის პარამეტრები; ip მისამართი, ენის პარამეტრები, დროის ნიშნულები, uuid, მოწყობილობის მონაცემები (მაგ.: მოწყობილობის ტიპი, მოწყობილობის მოდელი, ოპერაციული სისტემა), ბრაუზერის ტიპი; ბრაუზერის პარამეტრები; kia app-თან დაკავშირების თარიღები და დრო; აპის ინსტალაცია და გაშვება, აპის ვერსია და ინფორმაცია აპის ავარიული გათიშვის შესახებ; სარეკლამო იდენტიფიკატორები (მაგ.: idfa (ios), adid (android); მოწყობილობის სხვა იდენტიფიკატორები).
- **შეხედულებები და მოსაზრებები**: ნებისმიერი შეხედულება და მოსაზრება, რომელსაც ჩვენ გვიზიარებთ, მაგ.: უკუკავშირი და გამოკითხვაზე პასუხები.

- **გამოსახულების/ვიდეოს მონაცემები**: გამოსახულების/ვიდეოს მონაცემები, რომლებიც ავტორიზებული წვდომის მეშვეობით, თქვენი მოწყობილობის კამერაზეa შეგროვებული.
- **ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები**: გენერირებული იდენტიფიკატორები (id), რომლებიც თქვენ შესახებ, სხვა მონაცემებთან დაკავშირებით გამოიყენება, მაგრამ დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე (მაგ.: მომხმარებლის პროფილის id, uuid), უშუალოდ თქვენ არ მოგეკუთვნებათ.
- **დადასტურების მონაცემები**: მონაცემები, რომლებიც შეყვანილი მონაცემების და მოქმედებების დადასტურების საშუალებას იძლევა (მაგ.: დადასტურების pin-კოდი, აქტივაციის კოდი, sms ავთენტიკაციის კოდი, დადასტურების სტატუსი, ტოკენიზებული მონაცემები).
- **გამოყენების მონაცემები:** ჩანაწერები kia app-ში ჩვენს კონტენტთან თქვენი ურთიერთქმედების შესახებ (აპის მონახულებული სექციები; წვდომის დრო; კონტენტზე წვდომა, რეგისტრაცია, შეძენა).

6. დამუშავების მიზნები და დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები

მიზნები, რისთვისაც შესაბამის პერსონალურ მონაცემებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვამუშავებთ და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზეც მონაცემებს ვამუშავებთ, შემდეგია:

6.1. Kia App-ის ჩამოტვირთვა

kia app-ის ჩამოტვირთვის შემდეგ გარკვეული მონაცემები დამუშავდება თქვენ მიერ არჩეული აპების მაღაზიის მიერ (მაგ.: google play, apple app store). ასეთი მონაცემები შეიძლება მოიცავდეს ჩამოტვირთვის დროს, თქვენს მომხმარებლის სახელს და/ან ელფოსტის მისამართს, თქვენს აპების მაღაზიის მომხმარებლის id-ს და/ან მოწყობილობის id-ს. გაითვალისწინეთ, რომ ეს მონაცემები ჩვენთან არ გაზიარდება და ისინი მუშავდება შესაბამისი აპების მაღაზიის პროვაიდერების, როგორც მაკონტროლებლების, მიერ. გაეცანით აპის შესაბამისი მაღაზიის ოპერატორების კონფიდენციალურობის შეტყობინებებს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად (apple app store: https://www.apple.com/legal/privacy/; google play: https://policies.google.com/privacy).

6.2. თქვენს მოწყობილობაზე აპლიკაციის ავტორიზაციები

იმისათვის, რომ შეგეძლოთ kia app-ის ყველა ფუნქციის და პარამეტრის გამოყენება, აპს სჭირდება თქვენს მოწყობილობასთან კავშირი, რაც თქვენგან გარკვეულ ნებართვას (ავტორიზაციას) მოითხოვს. ნებართვები მხოლოდ ადგილობრივად, თქვენს მოწყობილობაზე ინახება. თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს მართოთ, შეცვალოთ და სურვილისამებრ გამოიყენოთ ცალკეული ნებართვები უშუალოდ თქვენი მოწყობილობის პარამეტრებში.

მაგალითად, ასეთი ავტორიზაციები შემდეგი პარამეტრებისთვის არის საჭირო:

- **მდებარეობა**: იმ სერვისების გამოსაყენებლად, რომლებიც თქვენი მოწყობილობის მიმდინარე მდებარეობაზე წვდომას მოითხოვს.
- **კამერა**: იმ სერვისების გამოყენება, რომლებიც თქვენი მოწყობილობის კამერაზე წვდომას მოითხოვს (მაგ.: ავტომობილის იდენტიფიკატორების სკანირების, ავტომობილის kia app-თან დაკავშირების მიზნით ან qr კოდების სკანირებისთვის).
- **ფოტოები**: იმ სერვისების გამოსაყენებლად, რომლებიც თქვენს მოწყობილობაზე არსებულ ფოტოებზე წვდომას მოითხოვს (მაგ.: თუ თქვენი მოწყობილობიდან „ჩემი გვერდის“ პროფილის სურათის პარამეტრში ფოტოს ატვირთვა გსურთ).
- **შეტყობინებები**: იმის განსაზღვრა, მიიღებთ თუ არა შეტყობინებებს და რა მოცულობით: (i) kia app-ის ხატულის გვერდით მრიცხველის მეშვეობით (მაგ.: kia app-ში ახალი ფუნქციების ან მოვლენების შესახებ ზოგადი შეტყობინებებისთვის, თუ kia app-ს აქტიურად არ იყენებთ); ან/და (ii) ტექნიკური სახის push-შეტყობინებებით (push notifications).
- **touch id-ისა და face id-ის (ios), ან თითის ანაბეჭდის და სახის ამოცნობის ფუნქციები (android):** kia app-ზე წვდომა ან/და kia app-ის გარკვეული სერვისების გააქტიურება და გამოყენება შეგიძლიათ kia app-ში touch id-ის ან face id-ის (ios), ან თითის ანაბეჭდის და სახის ამოცნობის (android) ფუნქციების საშუალებით. ნებისმიერი ბიომეტრიული მონაცემები ინახება მხოლოდ ადგილობრივად, თქვენს მოწყობილობაზე და ჩვენ არ გადმოგვეცემა, ამიტომ ამ მონაცემებზე წვდომა არ გვაქვს. თქვენი მოწყობილობის სისტემური ფუნქციის მეშვეობით kia app-ს გადაეცემა მხოლოდ ინფორმაცია ბიომეტრიული მონაცემების წარმატებით დადასტურების შესახებ.

– **ფონური განახლებები:** აპლიკაციას ფონური რეჟიმის დამოუკიდებლად განახლების საშუალებას იძლევა. თუ ეს ფუნქცია გამორთულია, ამ განახლებების შესრულება თავად შეგიძლიათ.

kia app მუშაობს მაშინაც, თუ შესაბამის ავტორიზაციებს არ მიანიჭებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში kia app-ის ყველა ფუნქციის გამოყენება (განსაკუთრებით, რომლებიც დაკავშირებულ სერვისებს ეხება) ვერ მოხერხდება.

6.3. Kia App-ის ზოგადი გამოყენება

kia app-ზე წვდომის და გამოყენების დროს გარკვეული ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც kia app-ის მიწოდებისა და გამოყენებისთვის არის საჭირო, ავტომატურად დამუშავდება. ჩვენ ვამუშავებთ ასეთ ინფორმაციას შემდეგი მიზნებისთვის: (i) kia app-ის სერვისების თქვენთვის მიწოდება; (ii) kia app-ის გაუმართაობის თავიდან აცილება ან/და პრობლემის გადაჭრა; და (iii) kia app-ის სერვისების გაუმჯობესება.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: ტექნიკური მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr), ასევე ჩვენი კანონიერი ინტერესების შესაბამისად, რათა ჩვენს მომხმარებლებს სათანადო და უხარვეზო აპლიკაცია შევთავაზოთ (მუხ. 6 (1) ვ) gdpr).

6.4. რეგისტრაცია და სისტემაში შესვლა

kia app-ში რეგისტრაციისთვის საჭიროა „kia-ს ანგარიში“. დარეგისტრირდით kia app-ში kia-ს ანგარიშის სისტემაში შესვლის მონაცემების გამოყენებით და დაეთანხმეთ kia app-ის გამოყენების პირობებს. როდესაც სისტემაში შეხვალთ, შეძლებთ, დაამატოთ ან წაშალოთ თქვენი kia-ს ავტომობილ(ებ)ი, შექმნათ მომხმარებლის პროფილი და გამოიყენოთ kia app-ის შესაბამისი სერვისები.

ჩვენ მიერ, kia-ს ანგარიშთან დაკავშირებული თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების დეტალები, კონფიდენციალურობის შესახებ ცალკე შეტყობინებაშია მოცემული, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: https://connect.kia.com/uk/kia-account-docs/

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: პირადი მონაცემები; საკონტაქტო მონაცემები; kia-ს ანგარიშის მონაცემები; ინფორმაცია მომხმარებლის პროფილის შესახებ; ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები; კონტრაქტის მონაცემები; ავტომობილის მონაცემები; დადასტურების მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: რეგისტრაციასა და სისტემაში შესვლასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესასრულებლად, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული, ან ხელშეკრულების ჩვენთან დასადებად (მუხ. 6 (1) ბ) gdpr). თქვენი მომხმარებლის პროფილთან დაკავშირებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემი (მაგ.: პროფილის ფოტო), რომელსაც ნებაყოფლობით აწვდით, დამუშავდება ჩვენ მიერ განხორციელებული კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr). კანონიერი ინტრესებია: kia app-ში მომხმარებელზე მორგებული პარამეტრებისა და ფუნქციების მიწოდება.

6.5. Kia App-ის სერვისები

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, როდესაც kia app-ის სერვისებს იყენებთ. ინფორმაცია ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ, როდესაც დაკავშირებულ სერვისებს იყენებთ, იხილეთ kia connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე https://connect.kia.com/eu/downloads/.

6.5.1. სასურველი დილერის შესახებ ინფორმაცია

kia app-ის ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, „სასურველი დილერის“ შესახებ ინფორმაციის სინქრონიზება განახორციელოთ mykia ვებ-გვერდსა და kia app-ში თქვენს ანგარიშებს შორის. სინქრონიზაცია ნებაყოფლობითია და უნდა გააქტიურდეს აპის გამოყენებამდე. გარდა ამისა, შეგიძლიათ, ხელით შეიყვანოთ ინფორმაცია სასურველი დილერის შესახებ.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: საკონტაქტო მონაცემები, ავტომობილის მონაცემები, დილერის და სახელოსნოს შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr).

6.5.2. დილერის ძიება

kia app-ის ეს სერვისი შესაბამისი დილერებისა და სახელოსნოების მოძიების საშუალებას გაძლევთ. შეგიძლიათ, აირჩიოთ მდებარეობის ხელით შეყვანის პარამეტრი ან ჩართოთ თქვენი მოწყობილობის მიმდინარე მდებარეობაზე წვდომა, რათა გაფილტროთ ძიების შედეგები თქვენი რჩეული ადგილმდებარეობის ან თქვენი მოწყობილობის მიმდინარე მდებარეობის შესაბამისად.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: მდებარეობის მონაცემები; დილერის და სახელოსნოს შესახებ ინფორმაცია.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr). kia app-ის მოცემული სერვისის გამოყენებისთვის შეიძლება საჭირო იყოს ავტორიზაცია, თქვენი მოწყობილობის მიმდინარე მდებარეობაზე წვდომისთვის.

6.5.3. სერვისის ონლაინ დაჯავშნა

kia app-ის ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, მოითხოვოთ და დაჯავშნოთ შეხვედრა თქვენ მიერ არჩეულ დილერთან ან სახელოსნოში და მიაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია შესაბამისი შეხვედრის მოთხოვნის შესახებ (მაგ.: ავტომობილის სერვის-ცენტრში მიყვანის დრო/დროის სასურველი მონაკვეთი; სერვისები; დამატებითი შეკეთება/რემონტი; შეთავაზებების და სარეკლამო აქციების არჩევა; ტრანსპორტირების ვარიანტები; ინფორმაცია "საბურავების კონსიერჟის" მომსახურებასთან დაკავშირებით) („**სერვისის ონლაინ დაჯავშნა**“). ის ასევე საშუალებას გაძლევთ, მოიძიოთ თქვენს მოწყობილობაზე ხელმისაწვდომი ტექნიკური მომსახურებები kia app-თან დაკავშირებული ავტომობილის გარბენის შესაბამისად. შეგიძლიათ, შეიყვანოთ თქვენი ავტომობილ(ებ)ის გარბენი ან ავტომატურად მოგვაწოდოთ, ჩვენი დაკავშირებული სერვისების ჩართვის გზით. მოთხოვნის მიღების შემდეგ, თქვენი წინასწარი თანხმობის საფუძველზე, თქვენს მოთხოვნას და გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის, თქვენს სახელსა და გვარს, ტელეფონის ნომერს (არჩევითია) და ელ-ფოსტის მისამართს, vin-კოდს) გავუზიარებთ შერჩეულ დილერს ან სახელოსნოს. შერჩეული დილერი ან სახელოსნო შეიძლება დაგიკავშირდეთ სერვისის მისაღებად შეხვედრის ჩანიშვნის და დადასტურების მიზნით. მათ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შერჩეული დილერის ან სახელოსნოს კონფიდენციალურობის შეტყობინება.

თუ დაჯავშნით კომპანია michelin-ის (manufacture française des pneumatiques michelin sas) მიერ მიწოდებულ "საბურავების კონსიერჟის" მომსახურებას (იხ. პუნქტი 6.5.11), ჩვენ გავუზიარებთ თქვენს ჯავშანთან დაკავშირებულ ინფორმაციას და გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს (კერძოდ, ავტომობილის მონაცემებს) კომპანია michelin-ს, რათა მათ შეძლონ შესაბამის დილერთან ან სახელოსნოსთან საჭირო კოორდინაცია.

kia app-ში ჩვენ შეგატყობინებთ სერვისის ონლაინ დაჯავშნის სტატუსს (მაგ.: დადასტურებული, მიმდინარე, გაუქმებული), ასევე, ავტომობილის შეკეთების სტატუსს (მიღებული, სახელოსნოშია, მზადაა გასაყვანად და დასრულებული). თქვენ ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ ან გააუქმოთ დაგეგმილი ონლაინ სერვისის ჯავშნები. ავტომობილის შეკეთების „დასრულებული“ სტატუსის შემდეგ აპლიკაციაში შეძლებთ, ნახოთ მომსახურების ციფრული ისტორია და ავტომობილის მდგომარეობის შემოწმების (evhc) ანგარიში. გაითვალისწინეთ, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, რომელმაც პირველმა დააკავშირა ანგარიში შესაბამის ავტომობილთან („**მთავარი მომხმარებელი**“), ასევე ნებისმიერი სხვა მომხმარებლისთვის, რომელიც ავტომობილს თავის ანგარიშთან დააკავშირებს („**ზიარი მომხმარებელი**“). ამ მიზნით ჩვენ მივიღებთ შესაბამის ინფორმაციას თქვენი kia-ს დილერისგან ან სახელოსნოსგან.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: პირადი მონაცემები; საკონტაქტო მონაცემები; ავტომობილის მონაცემები; მდებარეობის შესახებ მონაცემები; დილერის და სახელოსნოს შესახებ ინფორმაცია;

მომსახურების ონლაინ დაჯავშნის მონაცემები; ავტომობილის მდგომარეობის შემოწმების მონაცემები; ინფორმაცია სერვისზე თვალყურის მიდევნების შესახებ.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) gdpr). პერსონალური მონაცემების გაზიარება შესაბამის სახელოსნოსთან ან დილერთან ეფუძნება თქვენს წინასწარ თანხმობას (მუხ. 6 (1) ა) gdpr). პერსონალური მონაცემების გაზიარება michelin-თან აუცილებელია ამავე კომპანიის კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ბ) gdpr). michelin-ის კანონიერი ინტერესია თავისი მომხმარებლებისთვის "საბურავების კონსიერჟის" მომსახურების მიწოდება.

6.5.4. ციფრული სერვისის ისტორია

როდესაც ონლაინ დაჯავშნილი სერვისის მიწოდება სრულად დასრულდება, შესაბამისი დილერი ან სახელოსნო kia app-ის მეშვეობით მოგაწვდით ამ სერვისთან დაკავშირებულ ინფორმაციას („**მომსახურების ციფრული ისტორია**“). მომსახურების ციფრული ისტორია მოიცავს ინფორმაციას წარსულში გაწეული ყველა მომსახურების შესახებ, რომლებიც სერვისის ონლაინ დაჯავშნის ფუნქციის მეშვეობით იყო დაჯავშნილი. სერვისის ონლაინ დაჯავშნის ისტორია ხელმისაწვდომია kia app-ის ყველა მომხმარებლისთვის, რომლებმაც აპში შესაბამისი ავტომობილი თავიანთ პროფილს დაუკავშირეს.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: ავტომობილის მონაცემები; ავტომობილის სერვისის ისტორია.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის არის აუცილებელი, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr).

6.5.5. ავტომობილის გაზიარება

kia app-ის ცალკეული სერვისების გაზიარება სხვა მომხმარებლებთან შეგიძლიათ kia app-ში „**მანქანის გაზიარების მოთხოვნის**“ ფუნქციის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ დავამუშავებთ მომხმარებლის ანგარიშთან დაკავშირებულ გარკვეულ ინფორმაციას, ასევე ავტომობილის მონაცემებს, თქვენი გაზიარების მოთხოვნის დაწყების და გაგრძელებისთვის. სხვა მომხმარებლებს წვდომა ექნებათ გარკვეულ ინფორმაციაზე თქვენი ავტომობილის, მისი დამუხტვის და ტექნიკური მომსახურების შესახებ, ასევე, თქვენი ავტომობილის სტატუსთან დაკავშირებით kia app-ში დამუშავებულ სხვა მონაცემებზე. გაზიარების მოთხოვნის ინფორმაცია, როგორიცაა თქვენი სახელი და pin-კოდი, გადაეცემა და დამუშავდება სხვა მომხმარებლის ანგარიშში, kia app-ის სერვისისთვის. სხვა მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს kia app-ის შესაბამისი სერვისები დაკავშირებული ავტომობილებისთვის ისევე, როგორც თქვენ.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: მომხმარებლის პროფილის ინფორმაცია; ავტომობილის მონაცემები; დამუხტვის ისტორიის მონაცემები; მომსახურების ონლაინ დაჯავშნის მონაცემები; დადასტურების მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr), ასევე ჩვენს კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებით, kia app-ის სერვისების მიწოდებისას (მუხ. 6 (1) ვ) gdpr). გაითვალისწინეთ, რომ kia app-ის სერვისის გამოყენების დროს თქვენ სხვა მომხმარებლებს უზიარებთ პერსონალურ მონაცემებს, გარდა სისტემაში შესვლის მონაცემებისა, რომლებიც თქვენს kia app-ის ანგარიშშია შენახული. ამ ფუნქციის გამორთვა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. ფუნქციის დეაქტივაციით შეწყდება მონაცემების გაზიარება და ჩვენ წავშლით kia app-ში სხვა მომხმარებლებთან გაზიარებულ ყველა მონაცემს.

იმაზე ინფორმაციის მისაღებად, თუ თქვენ მიერ დაკავშირებულ სერვისებთან მიმართებაში, „**მანქანის გაზიარების**“ ფუნქციის გამოყენების დროს, თქვენს პერსონალურ მონაცემებს როგორ ვამუშავებთ, იხილეთ kia connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: https://connect.kia.com/uk/kia-connect-privacy-notice/

6.5.6. დამუხტვის ინტერესის პუნქტი (POI)

kia app-ის ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, მოძებნოთ დასამუხტი სადგურები. თქვენ შეგიძლიათ, აირჩიოთ

მდებარეობის ხელით შეყვანის პარამეტრი ან ჩართოთ თქვენი მოწყობილობის მიმდინარე ადგილმდებარეობაზე წვდომა. როდესაც kia app-ში აირჩევთ დასამუხტ სადგურს და გსურთ kia charge მომსახურების მიღება, სისტემა გადაგიყვანთ kia charge ფუნქციაზე (სერვისი, რომელსაც ამუშავებს და მიწოდებას უზრუნველყოფს კომპანია digital charging solutions gmbh), სადაც შეგიძლიათ kia charge-ის პროფილის შექმნა და სერვისებზე დარეგისტრირება. ამ შემთხვევაში თქვენი kia-ს ანგარიშის მონაცემებს გავუზიარებთ digital charging solutions gmbh-ს, რათა kia charge სერვისზე რეგისტრაციის პროცესი უფრო მარტივი და ეფექტური გავხადოთ.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: kia-ს ანგარიშის მონაცემები; ავტომობილის მონაცემები; მდემარეობის მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr). kia app-ის მოცემული სერვისის გამოყენებისას შეიძლება საჭირო იყოს თქვენი ავტორიზაცია, მოწყობილობის მიმდინარე მდებარეობაზე წვდომისთვის. თქვენი kia-ს ანგარიშის მონაცემების გაზიარება digital charging solutions gmbh-თან აუცილებელია ჩვენი კანონიერი ინტერესების განხორციელებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr). კანონიერი ინტრესებია: ჩვენი მომხმარებლისთვის მათზე მორგებული მახასიათებლებისა და ფუნქციების მიწოდება.

6.5.7. დამუხტვის ისტორია

kia app-ის ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, შეამოწმოთ თქვენი ავტომობილის დამუხტვის ისტორია, რომელიც თქვენს მოწყობილობაზე kia app-თან არის დაკავშირებული. ამ სერვისის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ ხართ kia charge-ის მომხმარებელი, რომელსაც digital charging solutions gmbh მართავს და გაწვდით. ამისათვის, თქვენი kia charge-ის ანგარიში kia ანგარიშის მონაცემების გამოყენებით kia app-თან უნდა დააკავშიროთ. kia app-ში ამ მომსახურების მოთხოვნის შემდეგ თქვენი ავტომობილის დამუხტვის ისტორიის შესახებ ინფორმაციას digital charging solutions gmbh ჩვენ გაგვიზიარებს.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: kia-ს ანგარიშის მონაცემები; ავტომობილის მონაცემები; დამუხტვის ისტორიის მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის არის აუცილებელი, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr).

6.5.8. საგარანტიო ბუკლეტი

kia app-ის ეს სერვისი თქვენი ავტომობილ(ებ)ის საგარანტიო ბუკლეტზე წვდომის საშუალებას გაძლევთ. საგარანტიო ბუკლეტი შეიცავს ინფორმაციას ავტომობილის შეძენის თარიღის, არსებული საგარანტიო პუნქტების აღწერილობისა და ავტომობილის მდგომარეობის შესახებ. საგარანტიო ბუკლეტს, თქვენ მიერ kia app-ში სერვისის მოთხოვნის შემდეგ, გაგვიზიარებს kia corporation.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: ხელშეკრულების მონაცემები; ავტომობილის მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის არის აუცილებელი, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr).

6.5.9. მფლობელის სახელმძღვანელო

kia app-ის ეს სერვისი თქვენი ავტომობილ(ებ)ის მფლობელის სახელმძღვანელოზე წვდომის საშუალებას გაძლევთ. მფლობელის სახელმძღვანელო მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შესაბამისი ავტომობილ(ებ)ის მოდელისა და მახასიათებლების შესახებ.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: ავტომობილის მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის არის აუცილებელი, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr).

6.5.10. ავტომობილთან დაკავშირებული შეტყობინებები

- <u>გაწვევის კამპანიის შეტყობინებები და სერვისის შეხსენებები:</u> kia app-ში ან სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით ჩვენ გამოგიგზავნით: (i) შეტყობინებებს პროდუქციის გაწვევის ღია კამპანი(ებ)ის შესახებ; და (ii) შეხსენებებს თქვენი kia-ს ავტომობილის რეგულარული ტექნიკური მომსახურების მოახლოებული თარიღების შესახებ.
- <u>შეტყობინებები სერვისებთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ</u>: თქვენი წინასწარი თანხმობის საფუძველზე, ჩვენ გაცნობებთ გადაუდებელი, სერვისთან დაკავშირებული რეკომენდებული აქტივობების შესახებ (როგორიცაა, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ნაწილების შეცვლა გაუმჯობესებული ნაწილებით, ან ხარისხის შემოწმება, რომელიც თქვენი kia-ს ავტომობილის გარკვეულ კომპონენტებზე უნდა ჩატარდეს). ინფორმაციას რეკომენდებული სერვისის აქტივობების შესახებ მოგაწვდით kia app-ის ან თქვენი ავტომობილის მთავარი მოწყობილობის მეშვეობით (თუ დაკავშირებული სერვისები გააქტიურებული გაქვთ), ან გამოგიგზავნით თქვენს რეგისტრირებულ ელ-ფოსტის მისამართზე.
- <u>ავტომობილის სავალდებულო ინსპექტირების შეხსენებები</u> (როგორიცაა tüv გერმანიაში, ან mot გაერთიანებულ სამეფოში): ჩვენ ავტომობილის მოახლოებული სავალდებულო ინსპექტირების შესახებ გაცნობებთ. ასეთია, გაერთიანებულ სამეფოში, ტრანსპორტის სამინისტროს მიერ ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილებისთვის დადგენილი შემოწმება (მოიხსენიებენ, როგორც „mot“). გაერთიანებულ სამეფოში დადგენილი „mot“-ის გარდა, იმისთვის რომ ეს სერვისი მოგაწოდოთ, ჩვენ გვჭირდება თქვენი ავტომობილის პირველი რეგისტრაციის თარიღი, რათა განვსაზღვროთ მომდევნო ინსპექტირების დრო. ამ ინფორმაციას გავუზიარებთ kia-ს ეროვნული გაყიდვების კომპანიას, ან დისტრიბუტორს თქვენს ქვეყანაში. გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული ავტომობილებისთვის, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ტრანსპორტის დეპარტამენტის („dft“) მიერ მონიჭებული გვაქვს mot ავტომობილის გარკვეულ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება (კერძოდ, mot-ის მოახლოებულ თარიღებსა და ავტომობილის რეგისტრაციის ნომრებზე) ტრანსპორტის დეპარტამენტის mot ისტორიის აპლიკაციის მეშვეობით. რადგან ჩვენ, როგორც წესი, არ ვამუშავებთ ავტომობილის რეგისტრაციის ნომრებს, kia uk limited-თან ავტომობილის რეგისტრაციის vin-თან დასაკავშირებლად ვითანამშრომლებთ, რათა თქვენთვის ამ სერვისის მოწოდება შევძლოთ.

  გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ kia-ს ეროვნული გაყიდვების კომპანიას, ან თქვენს ქვეყანაში დისტრიბუტორს, ავტომობილთან დაკავშირებული შეტყობინებების შესახებ ვაცნობებთ, რომლებიც თქვენ გამოგიგზავნეთ, რათა kia group-ის კომპანიებისგან ერთი და იგივე შეტყობინების რამდენიმე არხიდან მიღება თავიდან აგაცილოთ.

  <u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: თანხმობის ჩანაწერები; ავტომობილების მონაცემები, ფსევდონომიზებული იდენტიფიკატორები.

  <u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის არის აუცილებელი, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr). მონაცემების დამუშავება, სერვისებთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ შეტყობინებების გამოსაგზავნად, თქვენს წინასწარ თანხმობას ეფუძნება (მუხ. 6 (1) ა) gdpr). თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ. თანხმობის გაუქმება ასეთ თანხმობაზე (რომელიც გაუქმებამდე გაიცა) დაფუძნებული დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ იქონიებს. kia-ს შესაბამის ეროვნული გაყიდვების კომპანიასთან, ან დისტრიბუტორთან ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება, ჩვენი კანონიერი ინტერესების განხორციელებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr) არის აუცილებელი. კანონიერი ინტერესებია: ჩვენი მომხმარებლებისთვის საუკეთესო სერვისის მიწოდება (ამ ინფორმაციის გაზიარება თავიდან აგვაცილებს მომხმარებლებლის იმედგაცრუებას kia group-ის კომპანიებისგან ერთი და იგივე შეტყობინების რამდენიმე არხიდან მიღების გამო)

6.5.11. საბურავების კონსიერჟი (TYRE CONCIERGE)

kia app-ში შეგიძლიათ ისარგებლოთ „საბურავების კონსიერჟის“ (tyre concierge) სერვისით, რომელსაც აწვდის კომპანია michelin (manufacture française des pneumatiques michelin sas). „საბურავების კონსიერჟი“ დაგეხმარებათ საბურავების მდგომარეობის განსაზღვრასა და ახალი, შესაბამისი საბურავების შერჩევაში. ასევე, ის გაკავშირებთ kia app-ის სერვისთან - „სერვისის ონლაინ დაჯავშნა“ (იხ. პუნქტი 6.5.3). „საბურავების კონსიერჟი" ხელმისაწვდომია kia app-ში ჩაშენებული ფანჯრის (iframe) საშუალებით. სერვისს უშუალოდ მართავს და აწვდის კომპანია michelin საკუთარი სისტემებიდან, რაც ნიშნავს, რომ michelin

დამოუკიდებელი მაკონტროლებლის სტატუსით ამუშავებს იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებსაც თქვენ უზიარებთ „საბურავების კონსიერჟის“ გამოყენებისას. იხილეთ michelin-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება michelin-ის მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. kia connect michelin-ს უზიარებს თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (vin) „საბურავების კონსიერჟის" სერვისთან დაკავშირებით.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები:</u> ავტომობილის მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> ამ სერვისით სარგებლობა მოითხოვს თქვენი ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომრის (vin) გაზიარებას michelin-თან, რაც აუცილებელია ჩვენი და michelin-ის კანონიერი ინტერესების დასაცავად (მუხ. 6 (1) f) gdpr). კანონიერი ინტერესებია: ჩვენი მომხმარებლებისთვის მათზე მორგებული ფუნქციებისა და მახასიათებლების მიწოდება, ხოლო michelin-ის მიერ მომხმარებლებისთვის "საბურავების კონსიერჟის" მომსახურების გაწევა.

6.6. დამუშავების სხვა აქტივობები

6.6.1. კომუნიკაცია

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს იმისათვის, რომ დაგიკავშირდეთ kia app-თან და მის სერვისებთან დაკავშირებით (მაგ.: მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ტექნიკური პრობლემების გაცნობისთვის, ჩვენი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, kia app-ის სერვისებთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ ან kia app-ის გამოყენების პირობების ან kia app-ის ამ კონფიდენციალურობის შეტყობინების ცვლილებების შესახებ) სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით (მაგ.: ელფოსტა, ტელეფონი, აპსშიდა ან push-შეტყობინებები). push-შეტყობინებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოგიგზავნით, თუ ამის ნებართვა თქვენი მოწყობილობის პარამეტრებშია გაცემული. როდესაც მოთხოვნას გვიგზავნით, თქვენს პერსონალურ მონაცემებს თქვენი მოთხოვნის განსახორციელებლად ვამუშავებთ. kia app-ში საკონტაქტო ფორმის გარკვეული ველები წინასწარ ივსება, რათა საკონტაქტო ფორმის გამოყენება თქვენთვის უფრო მოსახერხებელი გახდეს. **როდესაც ჩვენს საკონტაქტო ფორმას იყენებთ, თქვენი მოთხოვნა ავტომატურად კლასიფიცირდება და კატეგორიებად ყალიბდება ჩვენს ღრუბლოვან გარემოში ხელოვნური ინტელექტით მართული ფუნქციებით.** ინფორმაცია ჩვენს მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებით კომუნიკაციის შესახებ იხილეთ სექციაში 6.6.2.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: პირადი მონაცემები; საკონტაქტო მონაცემები; კონტრაქტის მონაცემები; საკომუნიკაციო მონაცემები; ავტომობილის მონაცემები; ტექნიკური მონაცემები; ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მუხ. 6 (1) ბ) gdpr), ან ჩვენი კანონიერი ინტერესების შესაბამისად (მუხ. 6 (1) ვ) gdpr). ჩვენი კანონიერი ინტერესებია: მომხმარებელთა მოთხოვნების ეფექტურად მართვა, ჩვენი მომხმარებლებისთვის საუკეთესო სერვისის მიწოდება და მომხმარებელთა მოთხოვნებზე სათანადოდ რეაგირება და მათი მოთხოვნების დამუშავება.

6.6.2. პირდაპირი მარკეტინგი

ჩვენ ვამუშავებთ შესაბამის პერსონალურ მონაცემებს იმისათვის, რომ დაგიკავშირდეთ ელ-ფოსტით, მესიჯებით ან შეტყობინებებით kia app-ში, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების ან kia group-ის სხვა წევრების პროდუქტებისა და სერვისების შესახებ სარეკლამო ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ან გთხოვოთ, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვებში, ან მოგვაწოდოთ თქვენი უკუკავშირი, თქვენგან წინასწარი თანხმობის მიღების პირობით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

შეგიძლიათ ,თანხმობა განაცხადოთ kia app-ში თანხმობის შესაბამისი ღილაკების მონიშვნით (გააქტიურებით), ან სხვა საშუალებებით (საჭიროების შემთხვევაში). თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს უარი თქვათ მასზე (მაგ.: kia app-ში შესაბამისი თანხმობის ღილაკის გამორთვით). ასევე შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ ჩვენი სარეკლამო ფოსტის გამოწერა ჩვენ მიერ

გაგზავნილ თითოეულ სარეკლამო ელ-ფოსტაში არსებულ ბმულზე „გამოწერის გაუქმება“ დაწკაპუნებით. თქვენი თანხმობის გაუქმება გავლენას არ იქონიებს გაუქმებამდე ამგვარი თანხმობის საფუძველზე შესრულებული დამუშავების კანონიერებაზე.

თუ kia app-სა და მის სერვისებზე რეგისტრაციის პროცესში მოგვაწვდით თქვენს ელ-ფოსტის მისამართს, 11 პუნქტით გათვალისწინებული გაპროტესტების უფლების შეზღუდვის გარეშე, შეგვიძლია ამ მისამართზე გამოგიგზავნოთ ინფორმაცია ჩვენი მსგავსი სერვისების ან პროდუქტების შესახებ, თქვენი წინასწარი სპეციალური თანხმობის გარეშე, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში თქვენგან, როგორც არსებული მომხმარებლისგან, კონკრეტული თანხმობა საჭირო არ არის. იგივე ეხება kia app-ში შეტყობინებების მეშვეობით ასეთი ინფორმაციის გაგზავნას თქვენი ელ-ფოსტის შემომავალ ყუთში, რომელიც აპში ცალკე არის გათვალისწინებული. თუმცა, თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს თქვათ უარი ასეთი მარკეტინგული ელ-ფოსტის მიღებაზე, დამატებითი ხარჯების გარეშე (გარდა გადაცემის ხარჯებისა, ძირითადი ტარიფების შესაბამისად) (მაგ.: kia app-ში „სერვისთან დაკავშირებული რეკლამის“ ჩამონათვალში შესაბამისი ღილაკების გამორთვით). ასევე შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ ჩვენი სარეკლამო შეტყობინებების გამოწერა, რისთვისაც თითოეული სარეკლამო ფოსტის ბმულზე, რომელსაც ჩვენ გიგზავნით, უნდა დააჭიროთ ღილაკზე „გამოწერის გაუქმება“. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ და უარი განაცხადოთ თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის დამუშავებაზე (დეტალებისთვის იხილეთ პუნქტი 11).

kia app-ში თანხმობების სიის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია, თქვენგან მივიღოთ თანხმობა თქვენთან დაკავშირების თაობაზე kia-ს შვილობილი ორგანიზაციის სახელით, მათი პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის. ასეთ შემთხვევაში, kia-ს შესაბამის ორგანიზაციულ ერთეულს ვაცნობებთ თქვენი თანხმობის შესახებ და შესაბამისად, გავუზიარებთ თქვენს მიმდინარე საკონტაქტო მონაცემებს. პირდაპირ მარკეტინგულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ასეთ თანხმობას ეფუძნება, kia-ს შესაბამისი ორგანიზაციული ერთეული მოქმედებს, როგორც მაკონტროლებელი და ამ კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზეა პასუხისმგებელი. თუ გსურთ თანხმობის გაუქმება, რომელიც თქვენგან kia-ს ორგანიზაციული ერთეულის სახელით მივიღეთ, kia app-ში შესაბამისი თანხმობის ღილაკის გამორთვის გარდა, ასევე შეგიძლიათ, kia-ს შესაბამის ორგანიზაციას პირდაპირ დაუკავშირდეთ თქვენი თანხმობის გასაწვევად.

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: პირადი მონაცემები; საკონტაქტო მონაცემები; თანხმობის ჩანაწერები; ავტომობილის მონაცემები; ტექნიკური მონაცემები; ფსევდონომიზებული იდენტიფიკატორები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება, თქვენს წინასწარ თანხმობას (მუხ. 6 (1) ბ) gdpr), მარკეტინგული საქმიანობის შესახებ მოქმედ ადგილობრივ კანონებთან ერთად (მაგ.: ასეთია გერმანიაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის პუნქტი 7 (2) # 2 (“uwg”)) ეფუძნება; ან თუ აუცილებელია, ჩვენი კანონიერი ინტერესების განხორციელებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr, მარკეტინგული საქმიანობის შესახებ მოქმედ ადგილობრივ კანონებთან ერთად (მაგ.: გერმანიაში პუნქტი 7 (3) uwg)). ჩვენი კანონიერი ინტერესებია: ჩვენი სერვისების და პროდუქტების პოპულარიზაცია.

თქვენი თანხმობის გაუქმება, ამგვარი თანხმობის საფუძველზე, გაუქმებამდე შესრულებული დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.

6.6.3. უკუკავშირი და გამოკითხვები

თუ ჩვენს გამოკითხვებში მონაწილეობთ, ან თქვენს უკუკავშირს გვიზიარებთ, შეიძლება შესაბამისი პერსონალური მონაცემები, თქვენი გამოხმაურების და გამოკითხვის პასუხების შესაფასებლად, ჩვენი სერვისების გაუმჯობესების და ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებზე მათი მორგების მიზნით დავამუშაოთ.

ჩვენ შეიძლება გამოკითხვა ჩავატაროთ salesforce marketing cloud პლატფორმის გამოყენებით, რომელსაც უზრუნველყოფს კომპანია salesforce.com germany gmbh, ან ონლაინ გამოკითხვის ინსტრუმენტ surveymonkey-ს მეშვეობით, რომელსაც კომპანია momentive europe uc („momentive“) გვაწვდის. surveymonkey-ზე ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლოა დაგჭირდეთ ბმულზე გადასვლა, რომელიც კვლევაში მონაწილეობისთვის გაგზავნილ მოწვევაში იქნება მოცემული. ბმულზე დაჭერის შემდეგ, momentive-ის ვებ-გვერდზე გადახვალთ, რომელზეც გამოკითხვა ჩატარდება. გამოკითხვის

შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას, momentive ჩვენი სახელით და ჩვენი მიზნებისთვის დაამუშავებს. გარდა ამისა, momentive-ს შეუძლია: (i) თქვენი მოწყობილობის და სხვა ტექნიკური მონაცემების შესახებ ინფორმაცია შეაგროვოს და დაამუშაოს, რათა ერთი და იგივე ადამიანის ბევრ გამოკითხვაში მონაწილეობა არ მოხდეს; და (ii) გამოიყენოს ქუქი-ფაილები, რომლებიც ამოიცნობენ, მიიღო თუ არა პირმა გამოკითხვაში მონაწილეობა და გადაანაწილოს პასუხები, რომლებიც შესაბამისმა მონაწილემ უკვე გასცა.

კომპანია momentive-ის მიერ პერსონალური მონაცემების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.surveymonkey.com/mp/legal/privacy/.

შესაბამისი პერსონალური მონაცემები: პირადი მონაცემები; ტექნიკური მონაცემები; შეხედულებები და მოსაზრებები.

სამართლებრივი საფუძველი: მონაცემების დამუშავება, ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr) არის აუცილებელი. ჩვენი კანონიერი ინტერესია: ჩვენი სერვისების გაუმჯობესება.

6.6.4. ბიზნეს პროცესების წარმართვა

ჩვენ შეიძლება შესაბამისი პერსონალური მონაცემები, შიდა მართვის და ადმინისტრირების მიზნით დავამუშაოთ, მათ შორის, ჩანაწერების მართვის და სხვა შიდა პროტოკოლების წარმოებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება შესაბამისი პერსონალური მონაცემები kia group-ის სხვა წევრებს გავუმჟღავნოთ.

სამართლებრივი საფუძველი: მონაცემების დამუშავება, ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr) არის აუცილებელი. ჩვენი კანონიერი ინტერესებია: ჩვენი ბიზნესის სათანადო და ეფექტური ფუნქციონირება.

6.6.5. სამართლებრივი შესაბამისობა

შესაბამისი პერსონალური მონაცემები შეიძლება მოქმედ კანონებთან, დირექტივებთან, რეკომენდაციების და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით დავამუშაოთ (მაგ.: მოთხოვნები პერსონალური მონაცემების სასამართლოსთვის, ან მარეგულირებელი ორგანოსთვის, მათ შორის, პოლიციისთვის გამჟღავნების შესახებ).

სამართლებრივი საფუძველი: მონაცემების ასეთი დამუშავება აუცილებელია: (i) იურიდიული ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ჩვენ გვეხება (მუხ. 6 (1) გ) gdpr); ან (ii) ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr). ჩვენი კანონიერი ინტერესებია: მოქმედი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება.

6.6.6. სასამართლო სამართალწარმოება და გამოძიებები

შესაბამისი პერსონალური მონაცემები შეიძლება ჩვენი უფლებებისა და ინტერესების შეფასების, აღსრულების და დაცვის მიზნით დავამუშაოთ.

სამართლებრივი საფუძველი: მონაცემების დამუშავება ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr) არის აუცილებელი. ჩვენი კანონიერი ინტერესებია: ჩვენი ინტერესების დაცვა და უფლებების განხორციელება.

6.6.7. ვებ-ანალიზი და ოპტიმიზაცია

ჩვენ ვამუშავებთ გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს, kia app-ის მომხმარებლების მიერ kia app-ის და მისი ფუნქციების გამოყენების შეფასების მიზნით, ასევე kia app-ის აქტივობის შესახებ ანგარიშებისთვის. ამ მიზნით და თქვენი წინასწარი თანხმობის საფუძველზე, kia app-თან თქვენი ურთიერთქმედების შესახებ დამატებითი დეტალების მისაღებად, ინფორმაციას ვინახავთ თქვენს ბრაუზერში ან თქვენს საბოლოო მოწყობილობაში (მაგ.: ქუქი-ფაილები). მომხმარებლის პროფილში ვაგროვებთ ინფორმაციას kia app-ის გამოყენების შესახებ. ეს დაგვეხმარება განვსაზღვროთ: (i) დროის მონაკვეთები, როდესაც ყველაზე ხშირად ისარგებლეთ აპით, მისი ფუნქციებით ან/და შინაარსით; და (ii) kia app-ის ნაწილები ან თემები, რომლებიც ოპტიმიზაციას საჭიროებს. ჩვენ მიერ ქუქი-ფაილებისა და მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ

დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ პუნქტი 7. ამ მიზნით, ჩვენ ვიყენებთ google analytics-ს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პერსონალური მონაცემი (კერძოდ, ip მისამართი), რომელიც google analytics-თან დაკავშირებით ანალიზის მიზნით გროვდება, თავდაპირველად ჩვენ მიერ კონტროლირებულ სერვერებზე გადაიცემა და ინახება, სადაც შესაბამისი მონაცემები, მომხმარებლის შიდა საიდენტიფიკაციო ნომერს miekutvneba (რაც დაკავშირებულია საბოლოო მოწყობილობასთან). შესაბამისი მონაცემები შემდეგ გადაეცემა google-ს მხოლოდ ფსევდონომიზებული ფორმით. ეს პროცესი ასევე ცნობილია, როგორც „სერვერის მხრიდან თვალყურის დევნება“ (“server-side tracking”).

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: თანხმობის ჩანაწერები; ტექნიკური მონაცემები, გამოყენების მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება, თქვენს წინასწარ თანხმობას (მუხ. 6 (1) ა) gdpr) ეფუძნება.

6.6.8. მარკეტინგული კამპანია და მომხმარებელთა ურთიერთქმედების ანალიზი

თქვენი წინასწარი თანხმობის საფუძველზე, ჩვენ ვამუშავებთ გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნებისთვის: (i) ჩვენი მარკეტინგული კამპანიებისა და მომხმარებელთა ურთიერთქმედების ეფექტურობის გაზომვა და შეფასება მობილურ აპლიკაციებსა და ვებ-გარემოში; და (ii) ინსტალაციებისა და აქტივობების შესაბამის მარკეტინგულ არხებზე დამატება, აგრეთვე ერთიან ანალიტიკაზე დაფუძნებული ანგარიშების მომზადება. ამ მიზნით, ჩვენ შესაძლოა გამოვიყენოთ ქუქი-ფაილები (როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ, 7 პუნქტში) იმისათვის, რომ მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია ჩვენს მარკეტინგულ კამპანიებთან თქვენი ურთიერთქმედებისა და მობილურ აპლიკაციებსა და ვებ-გარემოში მომხმარებელთა აქტივობების შესახებ. ქუქი-ფაილებისა და მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პუნქტი 7. ჩვენ ვიყენებთ ინსტრუმენტს airbridge, რომელსაც გვაწვდის ჩვენი მომწოდებელი ab180 inc. (მისამართი: 3-4f, 17, gangnam-daero 61-gil, seocho-gu, seoul, south korea).

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები:</u> თანხმობის ჩანაწერები; ტექნიკური მონაცემები, გამოყენების მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> მონაცემების დამუშავება, თქვენს წინასწარ თანხმობას (მუხ. 6 (1) ა) gdpr) ეფუძნება.

7. ქუქი-ფაილები და სხვა ტექნოლოგიები

7.1. ქუქი-ფაილები

ჩვენ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს და შესაბამის ინფორმაციას ვამუშავებთ kia app-ში, ქვემოთ მოცემული მიზნებისთვის.

„**ქუქი-ფაილები**“ მცირე ზომის ტექსტური ფაილებია, რომლებიც თქვენს საბოლოო მოწყობილობას ვებ-გვერდის მონახულებისას, თქვენი ვებ ბრაუზერის, ან სხვა პროგრამების საშუალებით გადაეცემა. ისინი თქვენს საბოლოო მოწყობილობაზე ადგილობრივად ინახება და ინფორმაციის შემდგომი გამოყენებისთვის (როგორიცაა, პოვნა და ამოღება) მზად არის. ქუქი-ფაილები ზოგადად, ვებ-გვერდების მუშაობის, ვებ-გვერდზე თქვენი მოძრაობის აღრიცხვის, სისტემაში შესვლის დეტალების დამახსოვრების, თქვენი პრეფერენციების და ინტერესების დამახსოვრების და სხვა მიზნებისთვის გამოიყენება. არსებობს სხვადასხვა ტიპის ქუქი-ფაილები და მათი გარჩევა მათი წარმოშობის, ფუნქციისა და მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით არის შესაძლებელი.

ქუქი-ფაილების გამოყენებასთან დაკავშირებით დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება იყოს მონაცემები თქვენ შესახებ, ასევე, თქვენი პრეფერენციების და მოწყობილობის შესახებ. ინფორმაცია, რომელსაც ქუქი-ფაილების გამოყენებასთან დაკავშირებით ვამუშავებთ, ტექნიკურ მონაცემებს, ფსევდონიმიზებულ მონაცემებს და გამოყენების მონაცემებს მოიცავს.

ჩვენ ვიყენებთ მკაცრად აუცილებელ ქუქი-ფაილებს kia app-ის მუშაობის, მისი უსაფრთხოდ მიწოდებისა და

ქუქი-ფაილებზე თქვენი თანხმობის, ან უარის შესახებ ინფორმაციის შენახვის მიზნით („**მკაცრად აუცილებელი ქუქი-ფაილები**“). ასეთ მკაცრად აუცილებელ ქუქი-ფაილებთან დაკავშირებით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების იურიდიული საფუძველია ჩვენი კანონიერი ინტერესი (მუხლი 6(1)(f) gdpr), უზრუნველვყოთ kia app-ის ეფექტურად ფუნქციონირება და უსაფრთხოება.

თქვენი წინასწარი თანხმობის საფუძველზე, ჩვენ შეიძლება, გამოვიყენოთ ქუქი-ფაილები, რომლებიც (i) საშუალებას გვაძლევს გავზომოთ და გავაუმჯობესოთ kia app-ის მუშაობა („**ეფექტურობის ქუქი-ფაილები**“); ან/და (ii) უზრუნველყოფს kia app-ის გაუმჯობესებულ ფუნქციონირებას („**ფუნქციური ქუქი-ფაილები**“); ან/და (iii) გვაძლევს შესაძლებლობას, მოგაწოდოთ პერსონალიზებული კონტენტი თქვენი ინტერესების შესაბამისად ("**მიზნობრივი ქუქი-ფაილები**). თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი ასეთ ქუქი-ფაილებთან დაკავშირებით არის თქვენი თანხმობა (მუხ. 6 (1)(ა) gdpr).

გაითვალისწინეთ, რომ kia app-ში ქუქი-ბანერის გამოყენებით ან „**კონფიდენციალურობის პარამეტრების**“ მეშვეობით შეგიძლიათ, თქვენი თანხმობის პრეფერენციების მართვა. აქვე შეგიძლიათ, მოიძიოთ დამატებითი ინფორმაცია თითოეული ქუქი-ფაილის შესახებ. ჩვენ ვიყენებთ onetrust-ს, რომელსაც კომპანია onetrust technology limited გვაწვდის, ქუქი-ფაილებთან დაკავშირებულ თანხმობის მართვის მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია ქუქი-ფაილების და kia app-ში მათი გამოყენების შესახებ იხილეთ ჩვენს ქუქი-ფაილების გამოყენების წესებში.

7.2. Firebase Crashlytics

kia app-ისა და ჩვენი სერვისების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ ვეყრდნობით შეფერხებების ანონიმური ანგარიშების (crash reports) ანალიზს. ამ მიზნით, ჩვენ ვიყენებთ „firebase crashlytics“-ს, კომპანია google ireland ltd.-ის (google building gordon house, barrow street, dublin 4, ireland) მიერ მოწოდებულ სერვისს. kia app-ის შეფერხების ან გაუმართაობის შემთხვევაში შეფერხებების ანონიმური ანგარიშების მოსაწოდებლად „firebase crashlytics“ აგროვებს ქვემოთ აღნიშნულ ინფორმაციას და ასეთი ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს google-ის აშშ-ის სერვერებს. გაითვალისწინეთ, რომ შეფერხების შესახებ ანგარიშები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ, არ შეიცავს რაიმე ინფორმაციას, რაც მომხმარებლის ვინაობის დადგენის საშუალებას მოგვცემს. „firebase crashlytics“-ში შეგროვებული და შენახული ნებისმიერი ინფორმაცია წაიშლება მათი შეგროვებიდან 90 დღის განმავლობაში.

„firebase crashlytics“-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და google-ის მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დეტალების მისაღებად, შემდეგ ბმულებს ეწვიეთ:

https://firebase.google.com; https://firebase.google.com/terms/crashlytics/; https://firebase.google.com/support/privacy

<u>შესაბამისი პერსონალური მონაცემები</u>: ტექნიკური მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: მონაცემების დამუშავება აუცილებელია ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) gdpr). ჩვენი კანონიერი ინტერესებია: kia app-ისა და ჩვენი სერვისების უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფა და ოპტიმიზაცია.

8. მიმღებები ან მიმღებთა კატეგორიები

ჩვენ გავუმჟღავნებთ შესაბამის პერსონალურ მონაცემებს kia group-ის სხვა სამართლებრივ ერთეულებს („**kia group members**“), კომერციული საქმიანობის კანონიერი მიზნებისთვის, ასევე kia app-ის და kia app-ის სერვისების ფუნქციონირებისთვის. ასევე, შესაბამის პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ kia group-ის სხვა წევრებს, თუ თქვენგან წინასწარ გვექნება მიღებული კონკრეტული თანხმობა ასეთ გადაცემაზე. ამასთან, შესაბამის პერსონალურ მონაცემებს გავუმჟღავნებთ:

- თქვენ და საჭიროების შემთხვევაში, თქვენს უფლებამოსილ წარმომადგენლებს;
- სამართლებრივ და მარეგულირებელ ორგანოებს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ან მოქმედი კანონმდებლობის, ან რეგულაციების ნებისმიერი ფაქტობრივი, ან სავარაუდო დარღვევის შესახებ შეტყობინების მიზნით;

- ბუღალტრებს, აუდიტორებს, კონსულტანტებს, იურისტებს და ჩვენს სხვა გარე პროფესიონალ მრჩევლებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან სამართლებრივი ვალდებულებების საფუძველზე;
- მესამე მხარის დამმუშავებელ ერთეულებს (როგორებიც არიან, kia app-ის სერვისებთან დაკავშირებული ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მიმწოდებლები; მომხმარებელთა მონაცემების მართვის პლატფორმების მიმწოდებლები; მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისების მიმწოდებლები (მაგ.: ქოლ-ცენტრის მომსახურებები; ონლაინ გამოკითხვის პროგრამის მიმწოდებლები), რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას არიან, ქვემოთ, 9 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;
- ნებისმიერ შესაბამის მხარეს, მარეგულირებელ ორგანოს, ხელისუფლების ორგანოს, სამართალდამცავ ორგანოს, ან სასამართლოს, იმ მოცულობით, რაც კანონიერი მოთხოვნის განსაზღვრის, განხორციელების ან დაცვისთვის არის აუცილებელი;
- ნებისმიერ შესაბამის მხარეს, მარეგულირებელ ორგანოს, ხელისუფლების ორგანოს, სამართალდამცავ ორგანოს, ან სასამართლოს, სისხლის სამართლის დანაშაულების პრევენციის, გამოძიების, გამოვლენის და დევნის, ან სისხლის სამართლით გათვალისწინებული სასჯელების აღსრულების მიზნით; და
- ნებისმიერ მესამე მხარის უფლების მიმღებ(ებ)ს ან სამართალმემკვიდრეს, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ჩვენი ბიზნესის, ან აქტივების ყველა, ან რომელიმე ნაწილს გავყიდით ან გადავცემთ (მათ შორის, რეორგანიზაციის, დაშლის, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში).

  გარდა ამისა, ჩვენ შესაბამის პერსონალურ მონაცემებს, სხვა მესამე მხარის ორგანიზაციებს (კერძოდ, kia-ს დილერებს და სახელოსნოებს, kia charge სერვისის მიმწოდებელს (digital charging solutions gmbh), სადაზღვევო კომპანიებს, ლიზინგის კომპანიებს, ფინანსური სერვისების მიმწოდებლებს, ავტო-პარკის კომპანიებს, მონაცემთა აგრეგატორებს) გავუმჟღავნებთ; თუმცა ასეთ მესამე მხარეებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუზიარებთ, თუ: (i) ასეთ გამჟღავნებაზე თახმობა წინასწარ გაქვთ მიცემული (მუხ. 6 (1) ა) gdpr); (ii) ასეთი გამჟღავნება აუცილებელია ჩვენი ხელშეკრულების, ან შესაბამისი მესამე მხარის მიერ, თქვენთან დადებული ხელშეკრულების შესრულებისთვის (მუხ. 6 (1) ბ) gdpr); ან (iii) მონაცემების გაზიარება აუცილებელია შესაბამისი მესამე მხარის კანონიერი ინტერესის მიზნებისთვის, რამდენ ასეთი კანონიერი ინტერესი, თქვენს ინტერესებს, ძირითად უფლებებს ან თავისუფლებებს არ ეწინააღმდეგება (მუხ. 6 (1) ვ) gdpr).

  თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაში, მესამე-მხარე დამმუშავებელს ჩავრთავთ, ამ უკანასკნელზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შემდეგზე გავრცელდება: (i) პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ ჩვენი წინასწარი წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად; და (ii) პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების დასაცავად, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ დამატებით მოთხოვნებთან ერთად, სათანადო ზომები გამოიყენოს.

9. პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემა

ჩვენ საერთაშორისო კომპანიების ჯგუფის წევრი ვართ. აქედან გამომდინარე, პერსონალური მონაცემები შეიძლება kia group-ს, ასევე სხვა მესამე მხარეებს გადავცეთ, როგორც აღნიშნულია პუნქტში 8, ზემოთ. მონაცემების ზოგიერთი მიმღები შეიძლება მდებარეობდეს, ან შესაბამის ოპერაციებს ახორციელებდეს თქვენი ქვეყნის და ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური არეალის (eea) ფარგლებს გარეთ (მაგ.: კორეის რესპუბლიკაში, გაერთიანებულ სამეფოში ან აშშ-ში) („**მესამე მხარე**“). ზოგიერთ მესამე ქვეყანასთან დაკავშირებით, ევროკომისიამ დაადგინა, რომ ისინი პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს უზრუნველყოფენ (მაგ.: კორეის რესპუბლიკა, გაერთიანებული სამეფო), რაც ასევე მოიცავს აშშ-ს, რამდენადაც მონაცემების მიმღები კომპანია ევროკავშირისა და აშშ-ის მონაცემთა კონფიდენციალურობის ჩარჩო პროგრამაში მონაწილეობს (https://www.dataprivacyframework.gov) („**შესაბამისი (გათანაბრებული) იურისდიქციები**“).

როდესაც პერსონალურ მონაცემებს მონაცემების მიმღებს გადასცემთ, რომელიც მესამე ქვეყანაში მდებარეობს და შესაბამისი (გათანაბრებული) იურისდიქცია არ აქვს, ჩვენ (ან ჩვენი მონაცემების დამმუშავებელი ევროკავშირში/eea-ში, რომელიც პერსონალურ მონაცემებს, საჭიროებისამებრ, ასეთ მესამე ქვეყნებში ქვე-დამმუშავებელს გადასცემს), მიმღებთან დადებული მონაცემთა გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ევროკომისიის მიერ არის დამტკიცებული (ხელშეკრულების სტანდარტული დებულებები), შესაბამის დაცვას უზრუნველვყოფთ, ან მონაცემთა დაცვის სათანადო დონის

უზრუნველსაყოფად, სხვა ეფექტურ ზომებს ვიღებთ. დაცვის შესაბამისი ღონისძიებების ასლის გამოთხოვის მიზნით, შეგიძლიათ, ჩვენ ან ჩვენს dpo-ს (იხილეთ პუნქტი 2 და პუნქტი 3) მოგვმართოთ.

10. მონაცემების შენახვა

თქვენი პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ ვადით ინახება, რაც იმ მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი, რისთვისაც პერსონალური მონაცემები შეგროვდა, როგორც ზემოთ არის მითითებული. როდესაც ასეთი მიზნებისთვის, თქვენი პერსონალური მონაცემები აღარ დაგვჭირდება, მათ ჩვენი სისტემებიდან და/ან ჩანაწერებიდან წავშლით და/ან მივიღებთ ზომებს, რომ მათი ანონიმურობა სათანადოდ უზრუნველვყოთ, რათა მონაცემებიდან თქვენი იდენტიფიცირება შეუძლებელი გახდეს (თუ თქვენი ინფორმაციის შენახვა არ გვევალება იმ სამართლებრივი ან მარეგულირებელი ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ჩვენზე ვრცელდება; მაგალითად, ხელშეკრულებებში, კორესპონდენციებსა და საქმიან წერილებში არსებული პერსონალური მონაცემები, შეიძლება კანონით დადგენილ შენახვის მოთხოვნებს ექვემდებარებოდეს).

შენახვის ვადა შეიძლება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გაგრძელდეს, როდესაც მათი დამუშავება სამართლებრივი მოთხოვნების დადგენის, განხორციელების, ან დაცვის მიზნით არის აუცილებელი და როდესაც ჩვენ ან მესამე მხარეებს, შესაბამისი კანონიერი ინტერესი გაგვაჩნია (მაგ.: მოსალოდნელი სამართლებრივი (ადმინისტრაციული და/ან სასამართლო) სამართალწარმოების პერიოდში და მათი ხანგძლივობით, მათ შორის, ნებისმიერი უკუმოთხოვნის ვადის ამოწურვამდე).

11. თქვენი კანონიერი უფლებები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, შეიძლება შემდეგი უფლებები გქონდეთ:

- უფლება, არ მოგვაწოდოთ თქვენი პერსონალური მონაცემები (თუმცა გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ kia app-ისა და kia app-ის სერვისების სარგებლის და უპირატესობების თქვენთვის სრულად მოწოდებას, თუ არ მოგვაწვდით თქვენს პერსონალურ მონაცემებს (მაგ.: აუცილებელი მონაცემების გარეშე შესაძლოა, თქვენი მოთხოვნები ვერ დავამუშაოთ));
- მონაცემების არსის, დამუშავების და გამჟღავნების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, თქვენი პერსონალური მონაცემების ასლები, ან მონაცემებზე წვდომა მოითხოვოთ;
- თქვენს პერსონალურ მონაცემებში ნებისმიერი უზუსტობის გასწორება მოითხოვოთ;
- კანონის საფუძველზე: (i) თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა; ან (ii) თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა მოითხოვოთ;
- გარკვეული პერსონალური მონაცემები სტრუქტურირებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მოწყობილობის მიერ წაკითხვადი ფორმატით, დადგენილი წესით, სხვა მაკონტროლებელს გადასცეთ;
- თქვენი თანხმობა გააუქმოთ, როდესაც თქვენი თანხმობის საფუძველზე, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ (ასეთი გაუქმება გავლენას არ იქონიებს იმ დამუშავების კანონიერებაზე, რომელიც თქვენ მიერ თანხმობის გაუქმებამდე შესრულდა და ხელს არ შეუშლის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას სხვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით); და
- თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ ორგანოში საჩივარი შეიტანოთ (მაგ.: გაერთიანებულ სამეფოში, ინფორმაციის კომისრის ოფისი (https://ico.org.uk/) ან ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ცხოვრობთ ან მუშაობთ, ან სავარაუდო დარღვევა მოხდა, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მონაცემთა დაცვის ორგანო (აღნიშნული სამსახურების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: https://www.edpb.europa.eu/about-edpb/about-edpb/members_en)).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, ასევე შეიძლება შემდეგი უფლებები გქონდეთ:

- **გაპროტესტების უფლება, თქვენი კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე, ჩვენ მიერ ან ჩვენი სახელით, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, როდესაც ასეთი დამუშავება gdpr-ის 6(1)(ე) (საჯარო ინტერესი) ან 6(1)(ვ) (კანონიერი ინტერესები) მუხლებს ეფუძნება; და**
- **გაპროტესტების უფლება, ჩვენ მიერ, ან ჩვენი სახელით, პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.**

თქვენს კანონით გათვალისწინებულ უფლებებზე ეს გავლენას არ ახდენს.

ამ უფლებებიდან ერთის ან მეტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ან ამ უფლებების, ან kia app-ის კონფიდენციალურობის შეტყობინების შესახებ ნებისმიერი სხვა დებულების, ან ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ კითხვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, მიმართოთ ზემოთ, მე 2 და მე 3 პუნქტებში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე:

- ზოგიერთ შემთხვევაში, ვიდრე ამ უფლებების განხორციელებას შევძლებთ, თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელი იქნება; და
- როდესაც თქვენი მოთხოვნა დამატებითი გარემობებების დადგენას საჭიროებს (მაგ.: რომელიმე დამუშავების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის განსაზღვრა), თქვენს მოთხოვნას ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, ჩვენ მიერ შემდგომი ზომების მიღებამდე განვიხილავთ და შევისწავლით.

12. KIA APP-ის გამოყენების პირობები

kia app-ისა და kia app-ის სერვისების გამოყენებაზე ვრცელდება kia app-ის გამოყენების ჩვენი პირობები, რომლებიც აქ არის ხელმისაწვდომი. დაკავშირებული სერვისების გამოყენება რეგულირდება kia connect-ის გამოყენების პირობებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ბმულზე: https://connect.kia.com/uk/kia-connect-legal-document1/. გირჩევთ, რეგულარულად შეამოწმოთ ეს პირობები, რათა შეძლოთ ჩვენ მიერ დროდადრო შეტანილი ცვლილებების ნახვა.

13. განახლებები

kia app-ის კონფიდენციალურობის შესახებ ეს შეტყობინება შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, ან განახლდეს იმ ცვლილებების პრაქტიკაში ასახვის მიზნით, რომლებიც პერსონალური მონაცემების დამუშავებას ან მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებს უკავშირდება. მოგიწოდებთ, ყურადღებით წაიკითხოთ kia app-ის შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ და ეს გვერდი რეგულარულად შეამოწმოთ, რათა გაეცნოთ ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც შეიძლება ამ შეტყობინების პირობების შესაბამისად შევიტანოთ.

14. განმარტებები

"*მაკონტროლებელი*" - ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სააგენტო, ან სხვა ორგანო, რომელიც დამოუკიდებლად, ან სხვებთან ერთობლივად განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.

"*მონაცემთა დაცვის ორგანო*" - დამოუკიდებელი საჯარო ორგანო, რომელსაც მონაცემთა დაცვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობა კანონით ევალება.

„*gdpr*" - (i) ევროკავშირის რეგულაცია (eu) 2016/679 (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია); ან (ii) გაერთიანებულ სამეფოსთან დაკავშირებით, რეგულაცია (eu) 2016/679, ვინაიდან ის არის გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის ნაწილი 2018 წლის ევროკავშირიდან გასვლის აქტის მე-3 სექციის შესაბამისად, და პერიოდული შესწორებები (ასევე ცნობილია, როგორც გაერთიანებული სამეფოს gdpr).

"*პერსონალური მონაცემები*" - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება.

"*დამუშავება*" - ნებისმიერი მოქმედება, ან მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც პერსონალურ მონაცემებზე ან პერსონალურ მონაცემთა ერთობლიობაზე ხორციელდება, როგორიცაა შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, სისტემატიზება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, ამოღება, კონსულტაცია, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემის გზით, გავრცელება, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობა, გასწორება ან გაერთიანება, შეზღუდვა, წაშლა ან განადგურება.

"დამმუშავებელი" - ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო ორგანო, სააგენტო, ან სხვა ორგანო, რომელიც მაკონტროლებლის სახელით, პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს.

15. ცვლილებები ადგილობრივ კანონში

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ შესაძლოა

განსხვავდებოდეს თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. დამატებითი ინფორმაცია და ცვლილებები, რომლებიც თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობით არის მოთხოვნილი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: link.